საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5843/01
25/06/2020

5843-01-2-202006251533

შპს „პოლივიმს“
მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქ. N 12,
არასაცხოვრებელი ფართი N3-16

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 12 ივნისის N8742 წერილი, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, შპს „პოლივიმის“ პოლიეთილენ-ტერეფტალატის ბოთლების რეციკლირების (ნარჩენების აღდგენა) და პოლიეთერის ბოჭკოს საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი ინფორმაცია:

- დასამუშავებელი ნარჩენების სახეობა, რაოდენობა, კოდი და დასახელება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების ნუსხის მიხედვით;
- ნარჩენების აღდგენის ოპერაციის კოდ(ებ)ი ნარჩენების მართვის კოდექსის I დანართის მიხედვით.

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „პოლივიმი“ უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე